



## კაცხისა და უბისის მონასტრების სარესტავრაციო- საკონსერვაციო სამუშაოები

## უბისის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი  
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

## გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- კაცხის მონასტრის კომპლექსის შენობების ნაწილობრივი რესტავრაცია;
- უბისის მონასტრის კომპლექსის რესტავრაცია.

წინამდებარე დოკუმენტი - გარემოსდაცვითი მიმოხილვა, მომზადებულია უბისას მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

მდინარე ძირულას ნაპირზე სოფელ უბისას გარეუბანში მდებარეობს უბისას უძველესი სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის ეკლესია (IX საუკუნე). ობიექტი წარმოადგენს მოქმედ მონასტრს ღიას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

უბისას მონასტერი დაარსდა გრიგოლ ხანძთელი მიერ. კომპლექსში შედის: წმ. გიორგის ეკლესია (IX საუკუნე), ასევე ოთხ სართულიანი კოშკი - მესვეტის საცხოვრებელი (1141 წელი), უძველესი გალავნის ნანგრევები (XII საუკუნე) და სხვა შენობა-ნაგებობები. უბისა განსაკუთრებულად განთქმულია XIV საუკუნის ფრესკებით. ასამბლეის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მხატვარ გერასიმეს ნამუშევრები, შესრულებული დამიანეს ხელმძღვანელობით. შეიმჩნევა თავად შემსრულებლის და ბიზანტიური მხატვრობისთვის დამახასიათებელი შტრიხები. ეკლესია და კოშკი აშენებულია მოყვითალო ფერის შირიმის ქვისგან.

უბისის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. სხვადასხვა პერიოდში რესტავრაციის არასწორი მეთოდის შერჩევამ გამოიწვია ძირითადი ტაძრის მხატვრული სახის ცვლილება, კერძოდ: დასავლეთი მინაშენის ჩრდილოეთ ფასადზე საპირე წყობა აღდგენილია არა-იდენტური ქვის მასალით, კედლის ზედა ნაწილები აღდგენილია რიყის ქვებით ცემენტის ხსნარის გამოყენებით და არ აქვს ლავგარდანი. ასეთივე მდგომარეობაა ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაგებში. სამხრეთ კარიბჭის დასავლეთ და აღმოსავლეთის გახსნილი თაღები ამოშენებულია, დაზიანებულია და აღსადგენია ფრონტონის ლავგარდანი არსებული პროფილისა და იდენტური ქვის მასალით. სარინელის გარკვეული ფრაგმენტები დაზიანებულია, ხავსმოდებულია ცოკოლის საფეხურები. ცენტრალური დარბაზის ქვის იატაკის გარკვეული ფრაგმენტები. გაჩენილი ჩაღრმავებები ზოგიერთ ადგილებში აღდგენილია ბეტონით. საკურთხეველში იატაკის დონე ტრაპეზის ქვის მიდამოებში სხვადასხვა დონეზეა და გადაწყობას საჭიროებს. ამორტიზირებულია ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე კოშკში ამავე კიბე, აივანი და კარები. ზემოთ აღნიშნული დაზიანებების აღმოფხვრის შემდგომ კომპლექსი მაქსიმალურად მიუახლოვდება პირვანდელ სახე.

უბისას სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები მოიცავს:

- საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში ამორტიზირებული იატაკის რეაბილიტაციას ნიჩბისის ბუნებრივი ქვით.
- ტაძრის დასავლეთ ნაწილის ჩრდილოეთ ფასადის კირქვის ზედაპირის ჩანაცვლებას შირიმის ქვით.
- ინტერიერში იატაკის საფარის რეაბილიტაცია, ბეტონის შრის მოშორება და კირქვით ჩანაცვლება.
- საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილის კოშკში ამაველი ამორტიზირებული ხის კიბის შეცვლა.
- მეტალისა და ხის მასალის ახალი შესასვლელი კარის დამონტაჟება
- ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ზზარების ამოვსება კირით.
- არსებული საფლავის ქვების ჩანაცვლება ახალი ნიჩბისის ქვებით.

პროექტი უბისას მონასტრის რესტავრაციისთვის მომზადებულია შ.პ.ს. „ძველი გალავანის“ მიერ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ტექნიკურ დავალებებზე დაყრდნობით.

ტენდერის გამოცხადებამდე სარესტავრაციო პროექტი გაიგზავნება საპატრიარქოს არქიტექტურისა და ხელოვნების საბჭოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დასამტკიცებლად.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების დასაწყებად კონტრაქტორს სჭირდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან ნებართვა.

**(ა) ზეგავლენის იდენტიფიცირება**

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზეგავლენა გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე</p>
<p>რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?</p>	<p>მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს- უბისას კომპლექსის- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციასა და კონსერვაციას ექნება ხანგრძლივი პოზიტიური სოციალური გავლენა.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ მთავარ რისკს წარმოადგენს: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტურობისა და კულტურული ღირებულების დაკარგვისა და არასწორი დაგეგმარებითა და მიმდინარე სამუშაოებით სტრუქტურის დაზიანების საფრთხე. მაგრამ</p>

	<p>იმ შემთხვევაში თუ ადეკვატურად იქნა გატარებული ღონისძიებები. სარესტავრაციო სამუშაოები დაიცავს ძეგლს შემდგომი დაზიანებისგან, ბუნებრივი კატასტროფებისა და სუსხიანი ამინდებისგან.</p> <p>მოსალოდნელი ნეგატიური გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენა, რომელიც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნასთან და ვიზიტორების ეკლესიასთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან, იქნება ხანმოკლე და შეზღუდული.</p>
<p>შესაძლოა, რომ ქვე-პროექტს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა ადამიანებზე?</p>	<p>სარესტავრაციო სამუშაოების წარმოება არ გამოიწვევს რაიმე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას. თუმცა პროექტის განხორციელებას ექნება ხანგრძლივი დადებითი სოციალური ზეგავლენა : ტურისტული ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის მოზიდვა ტურიზმის სექტორში ინვესტირებისათვის (სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო და გასართობი ადგილები და სხვა).</p>

**(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები**

<p>განხილული იქნა ალტერნატივები ქვე-პროექტის დიზაინისას?</p>	<p>განხილული ალტერნატივები არ იყო რელევანტური წარმოდგენილი ქვე-პროექტისათვის.</p>
<p>რა შემარბილებელი ღონისძიებებია განსაზღვრული?</p>	<p>იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიული ღირებულების დაკარგვა და მისი დაზიანება, სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და დიზაინი უნდა იქნას შეთანხმებული საპატრიარქოსთან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.</p>

	<p>ინტერიერში ნებისმიერი ტიპის სამუშაო უნდა განხორციელდეს ხელით, ყოველგვარი პნევმატური ჩაქურჩის გამოყენებით, რადგან ნებისმიერი ტიპის ვიზრაციას შეუძლია გამოიწვიოს ფრესკების დაზიანება. ქვე-პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური გავლენა შესაძლოა მარტივად შემსუბუქდეს სარესტავრაციო ადგილის დემარკაციით, სამშენებლო ნარჩენების სათანადო დასაწყობებითა და სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მისი განთავსებით, დაწესებული სამუშაო საათების დაცვითა და პერსონალის დამცავი აღჭურვილობის გამოყენებით. სამშენებლო მასალების მოპოვება უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლებისგან; სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ან ალტერნატიულ ადგილას, რომელიც წერილობით შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან.</p>
<p>წინა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის დიზაინში?</p>	<p>მოხდა თავდაპირველი პროექტის ჩასწორება და შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, როგორცაა: ინტერიერში იატაკის საფარის რეაბილიტაცია, ბეტონის შრის მოშორება და მისი კირქვით ჩანაცვლება. ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა ძეგლის პირვანდელ სახესთან მაქსიმალური დაახლოება.</p>
<p>იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?</p>	<p>იქნება ხელმისაწვდომი ქვე პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის დოკუმენტები ხელმისაწვდომია უბისას მოსახლეობისთვის, ხოლო მისი საჯარო განხილვა მოხდება სამუშაოების დაწყებამდე.</p>

**(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა**

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით, ქვე-პროექტი კლასიფიცირდება როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია

2. ქვე პროექტი მიღებულია

რისკების შეფასების საფუძველზე ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გარემოზე ზემოქმედების მართვის საკონტროლო ცხრილის შევსებას

2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის მომზადებას, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას

## სოციალური ზემოქმედების სკრინინგი

სოციალური უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების კუთვნილების, მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და გადამოწმებადი? (სკრინინგი დაუსრულებლად ჩაითვლება თუ აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება გამოიწვევს თუ არა ხელმისაწვდომობის შემცირებას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული?		✓
3	იწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბედელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს?		✓
<p>თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგი		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
<p>თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა <b>OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით აღმოჩენილი ობიექტების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.</p>			

## გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა

### 1. შესავალი

#### 1.1 ფონური ინფორმაცია

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (მთავრობის დადგენილება #172), რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. სტრატეგიის მთავარი მიზანია ხელშემწყობი გარემოს შექმნა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული მიზანი მიღწეული უნდა იქნას დაბალანსებული სოციალ-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტუნარიანობით და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებით.

იმერეთში არსებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მომზადდა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი იქნა სესხი მისი განხორციელებისათვის.

ქვე-პროექტი „კაცხისა და უბისის მონასტრების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები“ არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდა, განხილულ იქნა, დამტკიცდა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

#### 1.2. ინსტიტუციონალური ჩარჩო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების



ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმასთან ერთად ან გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმას.

### 1.3 კანონმდებლობა და რეგულირებები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი პოლიტიკების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების პოლიტიკა (OP/BP 4.12).

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადებას, გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის რეკომენდაციების შესაბამისად.

ტენდერის გამოცხადებამდე რესტავრაციის პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს საპატრიარქოს არქიტექტურისა და ხელოვნების საბჭოსთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

კონტრაქტის გაფორმებამდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების დასაწყებად კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან ნებართვა.

## 2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- კაცხის მონასტრის კომპლექსის შენობების ნაწილობრივი რესტავრაცია;
- უბისის მონასტრის კომპლექსის რესტავრაცია.

წინამდებარე დოკუმენტი- გარემოსდაცვითი მიმოხილვა, მომზადებულია უბისას მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

უბისას სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები მოიცავს:

- საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში ამორტიზირებული იატაკის რეაბილიტაციას ნიჩბისის ბუნებრივი ქვით.
- ტაძრის დასავლეთ ნაწილის ჩრდილოეთ ფსადის კირქვის ზედაპირის ჩანაცვლებას შირიმის ქვით.

- ინტერიერში იატაკის საფარის რეაბილიტაცია, ბეტონის შრის მოშორება და მისი კირქვით ჩანაცვლება.
- საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილის კოშკის ამორტიზირებული ხის კიბის შეცვლა.
- მეტალისა და ხის ახალი მასალის შესასვლელი კარის დამონტაჟება
- ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ბზარების ამოვსება კირით.
- არსებული საფლავის ქვების ჩანაცვლება ნიჩბისის ახალი ქვებით.

### 3. არსებული გარემო

უბისას უძველესი მონასტერი წარმოადგენს IX- XIV საუკუნის ძეგლს, რომელიც მდებარეობს მდინარე ძირულას ნაპირზე სოფელ უბისას გარეუბანში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, იმერეთის რეგიონში ზღვის დონიდან 320 მ სიმაღლეზე და თბილისიდან 175 კილომეტრში. ობიექტი წარმოადგენს მოქმედ მონასტერს ღიას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

უბისას მონასტერი დაარსდა გრიგოლ ხანძთელი მიერ და მის შემადგენლობაში შედის: წმ. გიორგის ეკლესია (IX საუკუნე), ასევე ოთხ სართულიანი კოშკი - მესვეტის საცხოვრებელი (1141 წელი), უძველესი გალავნის ნანგრევები (XII საუკუნე) და სხვა შენობა-ნაგებობები. მოგვიანებით კომპლექსს დაემატა ახალი ნაგებობა XVI საუკუნის სამრეკლოს სახით.

ეკლესია და კოშკი აშენებულია მოყვითალო ფერის შირიმის ქვისგან. ფასადზე თითქმის არ არის შემორჩენილი ორნამენტული დეკორი. უბისა განსაკუთრებულად განთქმულია XIV საუკუნის ფრესკებით. ასამბლეის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მხატვარ გერასიმეს ნამუშევრები, შესრულებული დამიანეს ხელმძღვანელობით: „გერასიმეს ხელით, რომელიც იყო დამიანეს მოწაფე“. ფრესკებზე შეინიშნება, როგორც თავად შემსრულებლისა და ბიზანტიური მხატვრობისთვის დამახასიათებელი შტრიხები, ასევე სხვა მხატვრის კვალი. საკმაოდ კარგადაა შენახული ფრესკები კედლებსა და თაღზე. იგი აგრძელებს ქართულ მონუმენტურ მხატვრობის ტრადიციას (ფერები, იკონოგრაფიული დეტალები), მეორეს მხრივ კი ამჟღავნებს პალეო-ლოგოს ხელოვნების ძეგლებთან მჭიდრო კავშირს.

უბისის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. სხვადასხვა პერიოდში რესტავრაციის არასწორი მეთოდის შერჩევამ გამოიწვია ძირითადი ტაძრის მხატვრული სახის ცვლილება, კერძოდ: დასავლეთი მინაშენის ჩრდილოეთ ფასადზე საპირე წყობა აღდგენილია არა-იდენტური ქვის მასალით, კედლის ზედა ნაწილები აღდგენილია რიყის ქვებით ცემენტის ხსნარის გამოყენებით, არ აქვს ლავგარდანი. ასეთივე მდგომარეობაა ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაგებში. სამხრეთ კარიბჭის დასავლეთ და აღმოსავლეთ გახსნილი თაღები ამოშენებულია, დაზიანებულია და აღსადგენია ფრონტონის ლავგარდანი არსებული პროფილისა და იდენტური ქვის მასალით. სარინელის გარკვეული ფრაგმენტები დაზიანებულია, ხავსმოდებულია ცოკოლის საფეხურები.

ცენტრალური დარბაზის ქვის იატაკის გარკვეული ფრაგმენტები. იატაკზე გაჩენილი ჩაღრმავებები ზოგიერთ ადგილებში აღდგენილია ბეტონის მასალით. საკურთხეველში იატაკის დონე ტრაპეზის ქვის მიდამოებში სხვადასხვაა და საჭიროებს გადაწყობას. ამორტიზირებულია ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე კოშკში ამავე კიბე, აივანი და კარი. ზემოთ აღნიშნული დაზიანებების აღმოფხვრის შემდგომ კომპლექსი მაქსიმალურად მიუახლოვდება პირვანდელ სახე. ხოლო სარესტავრაციო სამუშაოები დაიცავს ძეგლს შემდგომი დაზიანებისგან, ბუნებრივი კატასტროფებისა და სუსხიანი ამინდებისგან.

უბისას მონასტრის გარშემო არსებული ტერიტორიის ლანდშაფტი არის მკვეთრად შეცვლილი. მონასტრის გალავანი არის გარშემორტყმული გზით, რომელიც აკავშირებს სოფელ უბისას თბილისი-სენაკის ცენტრალურ მაგისტრალთან (175 კმ). გზის გასწვრივ განთავსებულია ფერდობები ბუჩქნარით, როგორც არა-სასოფლო სამეურნეო, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და ბერების კელიები. რეგიონული განვითარების მეორე პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ქვე-პროექტის ფარგლებში შემდეგ სამუშაოებს: მონასტრის მიმდებარედ არა-სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მსუბუქი ტურისტული ინფრასტრუქტურის, მონასტრისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობასა და ობიექტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.

## პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

### 4.1 სამშენებლო ფაზა

#### 4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სოციალურ გარემოზე ისეთი მნიშვნელოვანი ზეგავლენა, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა, ახალმოსახლეობის ნაკადი, მეორადი განვითარება, სამუშაო შესაძლებლობები და შიდასთან დაკავშირებული რისკების ზრდა მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო საკუთრებაზე ან ბიზნესზე.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** მშენებლობისა და მცირე ოპერირების ფაზაში მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** შეზღუდული და დროებითი.
- **სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.

- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი, თუმცა საფრთხე არ ემუქრება არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებას.

#### **4.1.2. ფიზიკური ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე**

სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში იგეგმება ექსტერიერისა და ინტერიერის კედლების ზედაპირისა და სამრეკლო კოშკის რესტავრაცია, შიდა კიბის და კარის შეცვლა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა. თუმცადა, არსებობს როგორც სამონასტრო კომპლექსის ისტორიული ღირებულებისა და სტრუქტურული ერთიანობის დაკარგვის საშუალო ხარისხის რისკი. ასევე, შემთხვევითი აღმოჩენების ალბათობა. ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები და ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, შემდგომში საქმიანობის გასაგრძელებლად კი საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან ნებართვის მიღება.

საკონსერვაციო სამუშაოები ძეგლს დაიცავს შემდეგში დაზიანებისგან, ბუნებრივი კატასტროფებისა და მკაცრი ამინდებისგან.

#### **4.1.3 გარემოზე ზეგავლენა**

სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არასწორმა მართვამ, შენახვამ, გამოყენებამ და საბოლოო განთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ წყლისა და ნიადაგის დაბინძურების რისკი. ეს უკანასკნელი კი ნაკლებად სავარაუდოა.

#### **ნიადაგის დაბინძურება**

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს: კედლის ფენის დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, კირის ხსნარი, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები.

#### **წყლის დაბინძურება**

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვის შედეგად;

#### **ჰაერის დაბინძურება და ხმაური**

ჰაერის დაბინძურება და ხმაური შესაძლოა გამოიწვიოს არსებული სტრუქტურის დემონტაჟის სამუშაოებმა, ქვების, ნარჩენებისა და მასალების ტრანსპორტირებამ.

### **სამშენებლო ნარჩენები**

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- ინერტული მასალები (დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ბეტონის, ქვის, ქანების და ხის ნარჩენები);
- შესაფუთი მასალები;

### **ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა**

- ხმაური და ვიბრაცია;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა;
- ჰაერის დაბინძურება გამონახოლქვით;
- გზების ატალახება;
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება;

### **პოტენციური ზეგავლენა მცენარეულ საფარსა და ლანდშაფტზე**

ქვე-პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს არსებული ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას. მცენარეულ საფარზე პოტენციური გავლენა მინიმალურია, რადგან ქვე-პროექტით არ არის გათვალისწინებული ბუჩქნარისა და ხეების მოჭრა.

## **4.2 ოპერირების ფაზა**

ძეგლის რეაბილიტაციის შემდეგ ტურისტული ნაკადის ზრდა გამოიწვევს ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის დონის ზრდას; დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდასთან, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

## **5. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა**

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მომზადებულია იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეამციროს ქვე-პროექტის განხორციელების ნეგატიური გავლენა გარემოზე.

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის მოპოვება მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.

2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.
4. სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ და ზედამხედველ კომპანიასთან შეთანხმებულ ადგილზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებულ ადგილზე ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა მუნიციპალური განვითარების ფონდში უნდა წარადგინოს ზემოთ მითითებული დოკუმენტები: წიაღისეული მოპოვების ლიცენზიები (თუ შეესაბამება), ბეტონის ქარხნის მუშაობისთვის ატმოსფერული დაბინძურების კვლევის ანგარიში (თუ შეესაბამება) და ნარჩენების განთავსების წერილობითი შეთანხმება.

სამშენებლო პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი შეზღუდვები და შემამსუბუქებელი ზომები:

1. მძიმე ტექნიკის და აღჭურვილობის გამოყენება აკრძალულია; ტექნიკის მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; შეზღუდულია ტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე; შეზღუდულია ტექნიკის მოძრაობის სიხშირე;
2. ძეგლის ინტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელით და არა პნევმატური ჩაქუჩით, რათა არ გამოიწვიოს ფრესკების დაზიანება.
3. უნდა მოხდეს რესტავრაციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა და ნაგავსაყრელზე განთავსება, ობიექტი უნდა იყოს მუდმივად მოწესრიგებული.
4. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ხის მასალები უნდა იქნას გატანილი და განთავსდეს წერილობით წინასწარ შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.
5. სარესტავრაციო სამუშაოების პროცესში, არსებობს შემთხვევითი აღმოჩენების ალბათობა. ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები და ეცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, შემდგომში საქმიანობის გასაგრძელებლად კი საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან ნებართვა.

**ხმაური**

ხმაურის შესამცირებლად გამოიყენება შემდეგი ზომები:

- განისაზღვრება მანქანების მოძრაობის ნებადართული ინტენსივობა და სიჩქარე.
- გამოყენებულ იქნება ტექნიკის სათანადო კონტროლი და მოვლა-შენახვის პრაქტიკა, რათა ადგილი არ ექნეს დაზიანებული ნაწილების შედეგად ხმაურის დონის გაზრდას;
- სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში.

### დაბინძურების პრევენცია

- კონტრაქტორს მოეთხოვება სამშენებლო მასალების განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, რომელიც უნდა იყოს გადახურული, დაცული გადარეცხვისაგან წვიმის დროს.
- არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა წყლის ნებისმიერ ობიექტში.
- საპოხი მასალა, საწვავი და გამხსნელები უნდა ინახებოდეს და მათი გამოყენება მოხდეს მხოლოდ გამოყოფილ ადგილზე, შესაბამისი საფარით და საწრეტით; აღნიშნული მასალების შენახვა აკრძალულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ახლოს; მასალების შენახვის ადგილი უნდა იქნეს გადახურული;

### ნარჩენების მართვა

- სამშენებლო ნარჩენები ხშირად უნდა იქნეს გატანილი ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიიდან და ტერიტორია უნდა იქნეს მოწესრიგებული. უნდა მოეწყოს სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იყოს გადარეცხვისაგან.
- სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ და ზედამხედველ კომპანიასთან შეთანხმებულ ადგილზე.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები, როგორცაა საკვების ნარჩენები, პლასტმასისა და მინის ბოთლები და ა.შ. უნდა მოთავსდეს კონტეინერებში გატანილი იქნეს ყოველდღიურად.
- იკრძალება ნარჩენების დაწვა სამშენებლო ტერიტორიაზე.

### მტვერი და გამონაბოლქვი

- დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვრის შემაკავებლები;
- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან;
- მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით მტვრის შემცირების მიზნით.
- სამშენებლო ტერიტორია უნდა დაინამოს იმ ადგილებში, სადაც დიდი რაოდენობით მტვრის წარმოქმნის დიდი ალბათობაა.

- მუშები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სპეციალური დამცავი აღჭურვილობით.
- ობიექტზე აკრძალულია ნარჩენებისა და მასალების ღიად დაწვა.
- აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა.

## შემამსუბუქებელი ზომები სამშენებლო ადგილის უსაფრთხო ხელმისაწვდომობისთვის

ეროვნული ნორმების შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს სამშენებლო ადგილის სათანადოდ დაცვას და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებას. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:

- გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას. სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ შესამჩნევი, ხოლო პოტენციური რისკების შესახებ მოხდება საზოგადოების გაფრთხილება.
- ვიზიტორებისთვის უნდა მოეწყოს ალტერნატიული უსაფრთხო ტროტუარი;
- სამშენებლო ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის;
- უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები.
- მოხდება სამუშაო საათების ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან მორგება, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს.

## 5.2 სამუშაო ფაზა

- ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გაზრდილი რაოდენობის სათანადო მართვისთვის საჭიროა განთავსდეს დამატებითი კონტეინერები და ტერიტორიის დანაგვიანების შემთხვევაში უნდა საჯარიმო სანქციები.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობის შედეგად გაიზრდება გამონაბოლქვის და ხმაურის დონე. წარმოდგენილი ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ავტო-პარკინგის მოწყობა.



## 6. მონიტორინგი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგზე. სამუშაოების ზედამხედველობისთვის დაქირავებული კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს მიმდინარე სამუშაოების შესაბამისობას გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო კითხვარი და თან დაერთვება ფოტომასალა. გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების ანგარიში ჩართული იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშში. მგფ-მა კონტრაქტორისგან უნდა მიიღოს ის ნებართვები, ლიცენზიები და წერილობითი შეთანხმებების ასლები, რაც კონტრაქტორს საქართველოს კანონმდებლობით მოეთხოვება მასალის გამოყენებისთვის, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განთავსებისათვის

## 7. განხორციელების ღირებულება

აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ღირებულება მცირეა და რთულია გამოიყოს სამშენებლო ოპერირების ფასიდან. თუმცა რეკომენდირებულია რომ ტენდერში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვაში შედიოდეს ხარჯები ნარჩენების განთავსებისათვის. სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებისათვის, ინტეგრირებული უნდა იქნეს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ფასებში.

ნაწილი დ: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<b>სამშენებლო ფაზა</b>						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა  მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდებლის კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია მინიმუმამდე შემცირება

საქმიანობა	რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	მარშრუტების დაცვა.				მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	
სარესტავრაციო სამუშაოები	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	სარესტავრაციო სამუშაოების დროს	ისტორიული ადგილისა და ძეგლის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი  კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ინერტული მასალების წყარო	მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
					საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პროექტების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,

საქმიანობა	რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/ შემოვლის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნაგვის დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო ტერიტორიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პროცესში	სატრანსპორტო მოძრაობის დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ;  ადგილობრივი მოსახლეობის დისკომფორტის შემცირების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშებისა და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/ აღჭურვილობასთან	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება სამუშაოების პროცესში,	სამუშაო ადგილზე უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,

საქმიანობა	რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?	სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?	როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესებისა და ინსტრუქციების მკაცრი დაცვის შესახებ.					

დანართი 1.სარესტავრაციო სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურა და შენობა-ნაგებობების ელემენტები.

